ფასი 5 კ.

კვირა, 8 ივლისი 1912 წ.

მათრახი

იუმორისტული ჟურნალი.

№ 4

ჟურნალზე ხელის-მოწერა ჯერ-ჯერობით არ მიიღება,
წერილები გამოიგზავნება: შრომის სტამბაში.



ბრძოლა სუფრისთვის „ახალ კლუბში“.

სუფრისთვის დასჯილი სტუმარი.

ქუთაისიდან ჩამოველ,
მიფრინავდა ჩიტი გულში,
გასაძღომათ, გასართობათ
წავეხეტე „ახალ კლუბში“.

—

სტოლს მივუჯექ, მოვემზადე,
მსურდა გამეტენა ფუში,
დაძახებაც ვერ მოვასწარ—
მომაკერეს მუშტი შუბლში!..

—

სულ გვერდები ჩამილეწეს,
დამახიეს ჩოხა ტანზე,
იმოდენა მიბაყუნეს—
მომიქციეს ყბები განზე!..

—

დამტვრეული, დაბეჟილი
ძლივს ძლივობით მიველ შინა
(მისი ოჯახი დეიქცა
ვინც რომ კლუბი გააჩინა).

—

აღარ ყოფნით აღარც სკამი,
აღარც სტოლი, აღარც დანა!

მშიოდა და სტოლს მიუჯექ,
უნდა მცემონ მისთვის განა?

—

გიახლები კიდევ ერთხელ,
თუ არ გამძვრა ჩქარა სული,
მგონი სტოლებიც დავლეწო
ისეთი ვარ გულ-მოსული.

ხოხონიკა.

მკითხველებს.

მე, როგორც რედაქტორი „მათრახი“-სა ფრიად მგრძნობიარე და ნაზი აგებულობის გახლავართ. ეს, მე მგონია, ყველამ კარგათ უნდა იცოდეს. ჩემს საოთუთ ორგანიზმს უყვარს ყველაფერი ნორმალური. ვერ იტანს ის სიცხეს, ვერც სიცივეს, ვერც მტვერს და ვერც თფილისის მყრალ ჰაერს. ეს რამდენიმე დღეა თფილისში საგრძნობლათ ჩამოცხა, ქუჩებში მუხლამდე მტვერი სდგას, ქალაქის მამები გარდაიკვალენ და ქალაქი პარტახათ დარჩა. ერთი თვეა ქუჩებს არც არავინ ჰვლის და არც რწყავს. სანოვაგე აყროლდა და ჰაერს სწამლავს. ყველა ეს არანორმალური მდგომარეობა მეტათ ცუდათ მოქმედებს ჩემზე. თანამშრომლები ჩემზე უფრო ნაზები გამოდგნენ და ერთი კვირაა ყველანი სადღაც გადაკარგნენ. ამიტომ განვიძახე გავქუსლო თფილისიდან სადმე, ან ბახმაროზე, ან ბაკურიანში. ვერ გამაჩერებს ვერც „მათრახი“ და ვერც ვერავითარი ძალა. „მ ა თ რ ა ხ ი“-ს გ ა მ ო ც ე მ ა ს ვ ა ჩ ე რ ე ბ ე ნ-კ ე ნ ი ს თ ვ ე მ დ ი, რომ ცოტა წმინდა ჰაერი ჩავყლაპო და გაღონიერებული დავბრუნდე ჩემი თანამშრომლებიანა თფილისში. ვსთხოვ მკითხველებს ნუ მოიწყენენ „უმათრახოთ“, ენკენისთვემდე შეიძლება კლუბებში გაერთოთ ლოტოთი, იაროთ მუშტაიდის ბაღში, ჭყლაპოთ მსუბუქი მტვერი და ყნოსოთ სურნელოვანი ჰაერი. ენკენისთვეში კი ვიცინოთ და ვიცინოთ, თუ სიცილის გუნებაზე ვიქნენით.

„მათრახი“-ს რედ.-გამომც. **თ. ბოლქვაძე.**

თ ე თ რ ი ლ ო ბ ი ო.

(ტრადიგული ამბავი)

ოთხშაბათი საღამო იყო. იქნებოდა სწორეთ ექვსი საათი, რომ სოფიო ცხუკუნაძისას რაღაც ეშმაკი და ქაჯი შეუჯდა და ველარ ისვენებდა. ვერც დაჯდა, ვერც ადგა, ვერც დაწვა, ხან ერთ კუთხეში მიირბენდა და ხან მეორეში. ხშირ ხშირათ საათს შეხედავდა, გული საშინლად უცემდა. გარეშეს ასე ეგონებოდა თითქოს სოფიო ერთგულ ქმარს ღალატობს და საყვარელს ელოდებაო. საცაა ქმარიც უნდა დაბრუნებულიყო დუქნიდან. სოფიო გულში ლოცავდა ადგილობრივ ადმინისტრაციას, რომ შვიდ საათზე დუქნების დაკეტვა შემოიღო, თორემ წინათ თორმეტ საათამდე ელოდებოდა ქმარს და გული გაწყალებული ჰქონდა. ელოდა, ელოდა და ბოლოს იძულებული ხდებოდა გაქცეულიყო დუქანში. უმეტესად ოთხშაბათ პარასკეობით.

სოფიოს მოუსვენრობამ უმატა, კარები გაღო, ქუჩაში გავარდა და დაუწყო, ყურება ქმარს. ქმარი არსად სჩანდა. სოფიო ისევ სახლში შემოვარდა, საათს შეხედა, თავში ხელი შემოიკრა და საჩქაროთ ტანზე ჩაცმა იწყო. უკვე ოცდამეერვე საათი დაწყებულიყო. ტანთ იცვამდა და თან წყევლა-კრულვას უგზავნიდა ქმარს, რომ ასე დაიგვიანა.

კარები ნელა გაიღო და თავი შემოჰყო გიგუმ. სოფიო აფთარივით მივარდა და დაუწყო ყვირილი.

— ქა, რატომ არ გცხვენია, რომ ამდენს მალოდინებ?! ხომ იცი დღეს ოთხშაბათია? ხომ იცი სად უნდა წავიდე? განგებ დაიგვიანე, რომ ამით მაწყენინო?!

— ავტომობილით ხომ ვერ ვიელი დუქნიდან? დავკეტე და მოვედი. რა იყო? რა ამბავია? სად მირბიხარ?

— როგორ თუ სად მივრბივარ? განა დაგავიწყდა, რომ დღეს იაფი ლოტოა? ყველა ქალები იქ მიდიან და განა მე არ უნდა წავიდე?

— აი შავი ჰირი და ხოლერა გაუჩნდეს იმ იაფი ლოტოს მამგონს. სწორეთ ჩვენდა დასაღუპათ შემოიღეს. მერე, შე ოჯახ ქორო, ასე ადრე რა მიგარბენინებს, ჯერ ხომ ცხრა საათი არ არის და იქ რა უნდა გაკეთო? შენ მარტო ხომ არ ითამაშებ?

— მერე ალაგი არ უნდა დავიჭირო? სულ ფეხზე ხომ არ ვიდგები? ეხლა დაგვიანებულიც არის. იქ შუადღეზე მიდიან და ალაგს იპერენ. ხუმრობა ხომ არ არის. იმ დღეს ისეთი ჭედვა იყო, რომ ვიღაც ორი კაცი პირდაპირ კალთაში ჩამიჯდა, ერთიც ზურგზე მომეყუდა.

— რაღა გალაპარაკებს ეხლა, ადექ და მომწყდი თავიდან.

— ფულები? ფულები არ მინდა?

— აი გაგიწყრათ ჩემი გამჩენი. ოჰ, ნეტა ერთი მაცოდინა ვინ შემოიღო ეს იაფი ლოტო, რომ გვერდები ჩავამტვრიო. — გაჯავრებით ჩაილაპარაკა გიგუამ, სამ მანეთიანი ქაღალდის ფული გადაუგდო და სამოვარს მიუჯდა.

სოფიომ საჩქაროთ ჩაიცვა ტანთ, სამ მანეთიანი ჯიბეში ჩაიდო და ჩქარის ნაბიჯით გაექანა კლუბისაკენ.

ხალხი ბუზივით ირეოდა, უმეტესათ მანდილოსნები, ხუთმეტი წლიდან დაწყებული ოთხმოც წლამდე, ღრმად მოხუცებულ მანდილოსნებს სკამებზედ ეძინათ. აქა იქ ვახშამს მიირთმევდენ. გაისმა ზარის წკრიალი. ხალხი თეატრისკენ გაქანდა, იქ სინემატოგრაფში სურათებს აჩვენებდენ. ბაღი სულ დაცარიელდა, ყველანი თეატრში შევიდენ.

ერთი საათის შემდეგ ხალხი ისევ ბაღში გამოიშალა. სინემატოგრაფი გათავდა. მოსამსახურეები დატრიალდენ, გრძელ მაგიდებს სკამები მიუდგეს და თეფშებით თეთრი ლობიო ჩამოარიგეს. ხალხი ერთბაშათ მიაწყდა მაგიდებს. ბევრი მუჯლუგუნი გასაღდა, ბევრი მიწევ მოწევა მოხდა და ბოლოს ბედნიერნი ჩამოსხდენ სკამებზე, უბედურნი კი ფეხზე დარჩენ. სოფიოც ბედნიეთა რიცხვში მოჰყვა გათავდა თუ არა სინემატოგრაფი ის გაქანდა მაგიდებისკენ და პირველ სკამზე გამაგრდა. ვიღამაც სცადა სკამიდან გადაგდება, მაგრამ ამაოთ, ის თითქოს დაკერებული იყო ზედ. მარჯვე მოსამსახურეებმა ხელათ ჩამოარიგეს ქაღალდები. სოფიო გულის ფანცქალით ათვალიერებდა თავის ქაღალდს და გულში რაღაც იმედი უღვიოდა. „უთუოთ ეს კარტი მოიგებს“, „დევინოსტო არის“, „შესტიც არის, უნდა მოიგოს უეჭველათ“, ამბობდა თავის გულში სოფიო და მოუთმენლობა ეტყობოდა, რომ თამაში არ იწყებოდა.

— „პეტსოტ კარტ, ნა რუკა ვიდაიოცია შესდესიატ რუბლეი“ — გაისმა სარდიონის მქუხარე ხმა.

ამ ხმამ ელექტრონივით დაუარა ხალხს. ყველამ სული გატრუნა და სამი თითით თეთრი ლობიოს მარცვალი მოამზადა.

— 24! დაიგრიალა სარდიონმა.

— გენაცვალე სულში! — ჩუმათ ჩაილაპარაკა სოფიომ და თეთრი ლობიოთი 24 რიცხვი დაფარა.

— 55! კვლავ გრგვინავს სარდიონი.

— შავი ჭირი! პასუხს აძლევს სოფიო.

— 61!

— ოი! შენ მომიკვდი! გაისმის აქეთ იქიდან.

— მიწა დაგაყარე! ჩურჩულებს სოფიო.

— 70! უფრო ძლიერათ ქუხს სარდიონი.

— გაგისკდა ეგ ქეციანი თავი! კვლავ ჩურჩულებს სოფიო.

— 16!

— შენიჭირიმე, ჩემო სარდიონ! ნაზათ ამბობს სოფიო და თეთრ ლობიოს 16-ს აფარებს.

— 17!

— დაგენაცვალე სულში! — სოფიო სკამზე ვეღარ მაგრდება.

— 28! ღრიალებს სარდიონი!

— გენაცვალე მაგ უშნო ცხვირში, ჩემო კარგო! არიქა! ჩურჩულებს სოფიო. — შენიჭირიმე სარდიონ, პედესატ დევიტ!

— 85!

— შენიჭირიმე პედესატ დევიტ!

— 33!

— პედესატ დევიტ!

— 18!

— სარდიონ! გენაცვალე! პედესატ დევიტ! სოფიოს ლამის გული წაუვიდეს.

— 12! არ სცხრება სარდიონი.

— პედესატ დევიტ! პედესატ დევიტ! პედესატ დევიტ! აკანკალებული ხმით იმეორებს სოფიო, ხან წამოდგება, ხან ხელს იშვერს, სულ გიჟს დაემგვანა.

— 54!

— ღმერთო მიშველე! პედესატ დევიტ! ჩემო მშვენიერო სარდიონ!

— 59!

— აააა! ააა! უკანათ გაისმა სოფიოს კივილი ის გიჟივით წამოვარდა, თეფშზე ბლომათ დაყრილ თეთრ ლობიოს ხელი დასტაცა და მუჭა მუჭა პირში ჩაიყარა, გვერდზე ეცა, ერთ მანდილოსანს და სკამიდან გადაგდო. თან უნდოდა დაეყვირა, მაგრამ თეთრი ლობიო ყელში გაეჩხირა. სოფიოს გული შეუღონდა და იქვე ჩაიკეცა. ხალხი წამოიშალა არავინ იცოდა რა მოხდა. გულ წასული სოფიო საავადმყოფოში გაქანეს. როგორც ბოლოს გამორკვა სოფიოს უბედურობის მიზეზი რიცხვი 59 აღმოჩნდა. წამოიძახა თუ არა სარდიონმა სოფიო ისე შეიშალა ჭკუაზე, რომ ქაღალდზე დადების მაგიერ ლობიო მუჭით პირში ჩაიყარა და კინაღამ დაიხრჩო.

ერთი თვე იწვა სოფიო საავადმყოფოში. სოფიომ მიიღო მოგებული 60 მანეთი, ხოლო საბრალო გიგუას საავთმყოფოში ათ თუმანზე მეტი გადაახდევინეს. დიდი ხანი არ არის, რაც სოფიომ უკვე დაივიწყა ყველაფერი და ისე გაგიჟებულია ლოტოს სიყვარულით რომ ისევ დადის კლუბში.

მხოლოდ ლობიოს თვითონ ატარებს ჯიბით. მას შემდეგ თეთრი ლობიოს ძლიერ ეშინია.

„დევენოსტო!“



ი ქ ი თ უ რ - ა ქ ე თ უ რ ი.

ნორმალური დასვენება.

ქართველების პირველი მკათათვე, იმერლების პირველი კვირკობისთვე და „ოცისტების“ პირველი ივლისი ტფილისის მოქალაქეთათვის კვიმატი დღე გათენდა. ასეთი ნავსი დღე ცხონებულ ცხრაას ხუთს შერმეთ ტფილისის ვაჭრებს აღარ მოსწრიათ: შესრულდა შუადღის თერთმეტი ჟამი თუ არა მედუქნეებს ჟამათ მოევლინა პოლიცია და თანახმათ ქალაქის მამების გარდაწყვეტილებისა და უმაღლესი მთავრობის დასტურისა, გარდა რუსეთის მოქალაქის უნივერსიტეტ-სამიკიტნო-რესტორანებისა ყველა დაიკეტა.—ყასაბს, მეთორნეს, მეხილეს, ბაყალს, ბაზაზს, მებულკეს, მებუტკეს—გამყიდველს ცივი მდუღარე ლიმონათის და სხვათა და სხვა ყველას ებრძანა დღეს, როგორც კვირა დღეს ყველამ „ნორმალურათ დაისვენოს“ ხვალის დილის 7 სათამდეო. თვალცრემლიანი, სიხარულით გაბრუებულნი და ტირილით აზლუქუნებულნი მოქალაქენიც გულის სეკდის გადასაყრელათ, ნორმალურათ ჩაეშვნენ სარდაფებში და არა ნორმალური სმის შემდეგ არა ნორმალურათვე ჯიბე ცარიელი და სტომაქ ტვირთული ამოკიდნენ მუნით და ივლტოდნენ გასაგრილებლათ ბაღებსა შინა. ბაღებში თითეული მათგანი ჰპოულობდეს არა ნორმალურსა ცოლებსა—ხოლო ჟამსა შუაღამისასა ნორმალურნი ცოლნი ეძიებდნენ თავიანთ ნორმალურ ქმრებს და რა ჰპოებდეს სხვათა დიაცთათანა ინახით მჯდომარესა ბუწუწით ათრევდენ ერთ ურთსა ხოლო ქმრებსა კინწის კვრით ეზიდებოდნენ სახლსა შინა. ცოლნი არ განიკითხავდნენ ქმრის განცხადებას რომ ისინი თანახმათ უმაღლესი მოწყალებისა ნორმალურათ ისვენებდნენ. ბევრი არ მომლოდინე ეგზომ უმაღლესი შებრალელისა დარჩა უვახშმო, რადგან ფურნესა შინა ვერ ჰპოვა პური არსებისა, რამეთუ ფურნესა ყოველსა პრომეთეოსის ჯაჭვსა ზედა ედო კლიტე (ბოქლომი) ბასტილიისა). ბევრმან კუჭის ტკივილით შეპყრობილმან ნაცვლათ ძროხის რძისა ინება მირთმევა ნოეს ვაზის წვენისა. (რამეთუ მერძევენიცა და ძროხებიც ნორმალურათ განისვენებდნენ).

ეგზომ მშვიდობით აღესრულა დღე იგი კვირიაკე და გათენდა დღე იგი „ერთშაბათი“.

ორშაბათი.

ორშაბათსაც მწუხრის შვიდ საათზედაც გოროდ-ვოის*) ბრძანების თანხმათ შეიქნეს დუქნების კარების ხათქა ხუთქი, კვლავ დაიკეტა ყოველი. შეძრუწუნებულნი მოქალაქენი ჰკითხავდეს გოროდ-ვოის თუ სად წავიდნენ ისინი და ესმოდათ პასუხი „თავაზიანი“ ინებეთ ნორმალური დასვენება სარდაფსა შინა.

ორი დღის შემდეგ ყველასათვის ცხადი შეიქნა რომ ნორმალური დასვენება მხოლოთ მაშინ არის შესაძლებელი და სასარგებლო, როცა ქალაქი ნორმალურათ მოწყობილ ქვეყანაშია და თითონაც ნორმალურათ აქვს ყველაფერი მოწყობილი, დღევანდელ პირობებში კი ამ ნორმალურ დასვენებას ცხოვრების ანორმალობა მოჰყვა და მეტი აფერი. ამ აზრით გამსჭვალულნი მოქალაქენიც კოლექტიურათ თუ კერძოთ მიმართვენ სადაც ჯერ არს და ითხოვენ რათა მოიღონ მოწყალება და კვლავ აჰკიდონ კურტანი რამეთუ ჩვეულ არიან და თქმულიც არს:

„რათ უნდა ღორს მარგალიტი, წუმპესა ამჯობინებდის“.

ავ-ყია.

* * *

ახ, გურული ახალგაზდა
თვრამეტ წელზე გალამაზდა
და მიმჯდარი ზამთრით ბუხარს
ცოლს ურჩევდა ალიბუხარს.

—

უმადლიდა ის მაღლით ცას
რომ გვერდს უჯდა თავის ციცას
და საყვარელ მარიამას
უმღეროდა ჩარირამას!

შ. ამბრეჯიბი.

---

*) სიტყვა ესე უცხოა და შესდგება ორი სიტყვისგან პირველი ნაშნავს ქალაქს, ხოლო მეორე—უმეულს.

დ ე ბ ე შ ა.

(სკუთარი კორესპონდენტისაგან)

ს. ბაკურიანი. ტყეილი მოუხსენებიათ, ვითომც ბ. კახიძის აფთიაქში ყოველ დღე კარტს თამაშობდენ. თამაშობენ მხოლოდ საღამოობით, საპატიო პირნი უსაქმო ინტელიგენცია.

ჯლაიანი.

ხმა ქუთაისიდან

ოხ, ქუთაისო! ვინც რომ პირველათ
ქვის ბალავერი შენი ჩაყარა,
ქალაქის სახე მისცა კედლებსა,
დღეს კი ილიკოს ხელს ჩააბარა,
იმას რა უთხრა, იმას რა უთხრა,
რომ ცუდ დღეზედა ააგო ესა,
ქალაქს პატრონი აღარ აღირსა
და მით ვიწყევლით გაჩენის დღესა!..
გვედრებთ „მათრახო“,
ცოტა ხნით გვნახო
და ჩვენი ყოფა თვით დაინახო,
ილიკოს სძინავს,
ხმოსნებიც ხვრინავს,
ვერც იშოვნიან უკეთესს ბინას...
ქუჩები ბნელსა მოუცავს ყველგან,
საფრთხობათ სდგანან ფარნის ბოძები,
კლუბი გამოდის,—მაშინ ანთებენ
რომ არ დაიმტვრეს ჩვენი ხმოსნები...
ქუჩა სავსეა მკვდარი ძაღლებით,
თავს არ იტკივებს ჩვენი მამები;
ამბობენ: ასეთ უსუფთაობას
შეჩვეული ვართ... არ ვართ ხამები!..
წვიმიან დღეში ლაფში ვიხრჩობით...
ხმას ველარ ვიღებთ... ამოგვძრა სული,
გადასახადი ორათ გახადეს,
აბა ვისა აქვს ამდენი ფული?!..
ვინ არის კაცი ცხრა თავიანი,
რომ ინახულოს ჩვენი ყაფანი:
პარკის მწონელნი ზოგიერთები
და მასთან ერთათ ილო, ყაფლანი.
უთხრას: „რაინდო, რომ დემოკრატობ,
ინტერესს იცავ ვითომ ხალხისას,
ფუთზე შაურსა გლეხს რომ ართმევენ,
გზას ხომ არ აცდი, შენ სიმართლისას?.“
ვინ არის კაცი, ვის შესწევს ღონე,
ჩამოუაროს პარკის ვაჭრებსა:
პეტრეს, ჟორჟიკას, აჯი ოათარსა
და ჩვენს ავეტოვს ბარაბაძესა.
უთხრას: პირსა ჰკრავთ, გლეხს აიძულეთ,
რომ მუქთათ პარკი ჩაიგდოთ ხელში?.
უთხრას და მაგრათ გაულაწუნოს
თითო მათრახი პირშავ სახეში.

ბაირონი.



მოწერილი ამბები.

სამგრედია. იოცხლეთ აქაურები ააფუცხუნა თქვენი რევიზორის ჩაამოსვლამ. მექანქრეებს, როგორც იტყვიან „დანა პირს აღარ უღებს“. ჩამოყარეს ყურები, გაფაციცებით ეძებენ გაზეთში „ჩამგდებს“, რომ თავისებურათ იყარონ ჯავრი, მაგრამ ეშინიათ ესეც არ გაგვიგოს რევიზორმა და უარესი დღე დაგვაყენოსო.

განცვიფრებული არიან, თუ როგორ გაიგო, რომ ჩვენ 30 ქანქარს ვღებულობდით დღეშიო?! წვრილი გამგზავნელები კი სიხარულით ცას ეჭიდებიან და სულ რევიზორის მზეს ლოცულობენ.

მე მეჯონა მარტო სადგურის რევიზიით დაკმაყოფილდებოდა ბ-ნი რევიზორი, მაგრამ ბაზრის დათვალიერება მოისურვა და წასვლის დროს სადგურის ბაქანზე აუარებელ მოსეირნე „დამა-კავალრებს“ მიაქცია ყურადღება და რადგან გვერდის ავლა შეუძლებელი იყო, იკითხა მიზეზი ამოდენა მოყიალეთა თავყრილობისა:

„რადგან რკ.-გზ. მართველობა აქაურ ხალხზე გულკეთილობას იჩენს და ბაქანზე მუქთათ გამოს-

ვლის ნებას აძლევს, ამისათვის აქაურებიც სარგებლობენ შემთხვევით და რადგან ბულვარი არ აქვთ ბაქანზე გამოდიანო“, უპასუხა ერთმა გულუბრყვილომ. რევიზორი ძრიელ გაანცვიფრა ამ გარემოებამ: —ნუ თუ ბულვარი ვერ შეიძინეს ამდენხანს სამტრედიაშიო? იკითხა მან.— „ბულვარი კი არა თეატრისთვის დარბაზიც არ აქვთ ბატონო! აქაური სცენის მოყვარენი ხანდისხან რკინის გზის თეატრით სარგებლობენ ხოლმე, რომელიც თავლას უფრო წაგავს, ვიდრე თეატრს და იქაც ქართულ წარმოდგენების ნებას იშვიათად აძლევენ. საბულვარო მიწა კი ეკუთვნის აქაურ ბურჟუებს და რადგანაც ისინი ძვირათ აფასებენ ამ მიწას, ბაქანზე დადიანო“ მოახსენა მეორემ.

გაჯავრებული რევიზორი აქედან ბაზრისაკენ გაეშურა. ვაჭრებს თავზარი დაეცათ, დასამალათ თაგვის სორო მილიონი ულირდათ, მარა აბა აქ სად ნახავდენ თაგვის სოროს, როდესაც ყოველივე ორმო ჭაობებით არის სავსე და ბაყაყებიც ძლივს ეტევა იქ. გზები ოღრო-ჩოღრო, თხრილები ყოველივე უსუფთაობით სავსე და ამგვარად ბაზარი სრულ ანტისანიტარულ მდგომარეობას მოუცავს. მეყასბეების და მეფურნების თავხედობას ხომ საზღვარი არა აქვს, ესენი აწვდიან ხალხს უვარგისს ხორცსა და პურს, ყოველივე ნიხრის გარეშე და თუ ვინმემ რამე გაბედა კარგათაც მილანძღავენ: მიბრძანდი თუ არ გნებავს. ყოველივე ეს რევიზორმა თავის თვალით ნახა, ნახა ისიც, რომ ბაზარში აუარებელი სოფლის ხალხი ბუზივით ირეოდა, რომელთაც აუარებელი სანოვაგე შემოეტანათ მუქთა-ხორცათა გასაძღომათ და ვაჭრები უსინიდისოთ ატყვილებდნენ როგორც წონაში ისე თვლაში. ნამეტურ ხელოვნურათ დაუწიეს პარკის ფასს და ჩალის ფასად იგდებენ ხელში. აქაური სტუდენტობა კი ბაქანის ტკეპნას უნდება და ისიც ვერ მოუხერხებიათ, რომ წონაში მაინც აღარ სტყუვდებოდნენ საცოდავი სოფლელები. თვალ-ცრემლიანი ბრუნდებიან ცარიელი ურმით დედაკაცები შინ და თავებედს იწყევლიან; რომ „თავის დღეში აღარ ვაკეთოთ აწი აბრეშუმიო“. აი რას უქადის ამისთანა უსინდისო საქციელი ხალხს.

აქედან ფოთში აპირებს „რევიზორი“ წასვლას, რადგან გაუგია, რომ სადგურზე დიდი მექანქრეობა ყოფილა გავრცელებული და იქიდან დაბრუნებული, ვგონებ სხვა სადგურებსაც უპირებს რევიზიას, რასაც რევიზიის შემდეგ შეგატყობინებთ.

შიკრიკი.

—

ჭიათურა. 23 ივნისს ადგილობრივმა პოლიციამ დაატუსაღა ქუთათურ ვაჭრის ნიკიფორე ჯანელიძის ტყავები (ვაჭრის კი არა ძროხების). მიზეზი გამოურკვეველია.

— აქაურმა მანდილოსნებმა გადასწყვიტეს მიჰბაძონ ქუთათურ მანდილოსნებს და დაარსონ ქალთა საზოგადოება. დიახაც რომ სიმპატიური და კარგი საქმეა.

— 15 ივლისიდან ჭიათურაში გამოვა ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი „ბანკო“ ნ. ასათიანის რედაქტორობით.

გედი.

—

ნაძალადევი. ძალიან კარგს იზამთ, თქვენი მათრახის კუდს აქაც გაიქნევდეთ; თუ ბუფერნი ქუჩაზე ამოიაროთ უფრთხილდი! „კრიშაში“ არ აგიყვანონ საქეიფოთ. შეძლებული ხალხი ვინ იცის სად მიდის საგვარაკოთ და აქაურმა მოქეიფე ხალხმა, რომ „კრიშაზე“ გაატაროს დროება განა გასაკვირია? იქვე ახლო რომ ფურნეა (კუთხეში) რაც უნდა მოშივებული იყო იცოდე არ შეხვიდეთ, თორემ, ყალბი ქანქარი გამოგყვება გარეთ თქვენდა უნებურად.

დეხპინაშვილი.

წერილი რედაქციას.

ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ დამიმოწმოთ, რომ „მათრახის“ მე-3 №-ში სამტრედიიდან მოთავსებული კორესპონდენცია „შიკრიკის“ ფსევდონიმით მე არ მეკუთვნის და მით მიხსნათ მრავალ გვარ ჭორებისაგან.

პატივისცემით გრიგოლ ურუშაძე*).

*) ხსენებული კორესპონდენცია გრ. ურუშაძეს არ ეკუთვნის.

„მათრახის“ რედაქცია.



უცხო სიტყვების ახსნა.

(იხ. „მათრახი“ № 2)

„ადუკანტი“. პირდაპირ, რომ ვსთარგმნოთ სიტყვა „ადუკანტი“, ნიშნავს ვექილს, ხოლო ვექილი კი ბევრ რამეს. ეს სიტყვა დიდ ხმარებაშია, უმეტესად მდაბიო ხალხში და გლეხობაში. საზოგადოთ ადუკანტი ნიშნავს ადამიანს, უმეტესათ მამაკაცებს, თუმცა ეხლა ხან ქალებიც გამოჩნდენ. მაგრამ იმას ნუ დაივიწყებთ, ყომ ყველა კაცს არ შეუძლია ადუკანტი იყოს, ამისთვის აუცილებლათ საჭიროა პირველ ყოვლისა გრძელი ენა. ამ ენაზეა დამყარებული როგორც თვით ადუკანტის, ისე ასი ათასი ხალხის ბედ-იღბალი. როგორც საზოგადოთ ადამიანებში ადუკანტებშიც დიდი განსხვავებაა, ზოგს მოკლე აქვს ერთად ერთი იარაღი ენა და ზოგს გრძელი. ზოგი მომრიგებელ მოსამართლის უფრო მეტი ხშირი სტუმარია და ზოგი იქ მისვლას არც კი კადრულობს. კარგი ადუკანტისთვის აუცილებლათ საჭიროა დრო-და დრო ღებულობდეს მონაწილეობას „სალიტერატურო დილა-საღამოებში“ და... თამაშობდეს „ბაქარას“.

აქოთებული. გურულები ამ სიტყვას ხმაროებენ, როცა რაიმე ნივთს არა სასიამოვნო სუნი უდის. აქედან შეიძლება ვსთქვათ აქოთებული გაზეთი, რედაქცია, რედაქტორი. შეიძლება წერილიც იყოს აქოთებული. ქართლ-კახეთში სიტყვა „აქოთებული“ ნიშნავს არევ-დარევას. მაგალითად აქოთებული რედაქცია, რედაქტორის თავი და სხვ. ჩვენ მკითხველებს შეუძლიათ ორივე მნიშვნელობით იხმაროს ეს სიტყვა.

აფორიაქება. ეს ერთგვარი მდგომარეობაა ადამიანის თავის ქალაში, უმეტესათ პოეტის. ამ პროცესის დროს ხდება პოეტის თავში შესანიშნავი მოვლენა, მზადდება ლექსი, რომ წარმოდინდეს და დაატკბოს მკითხველი. ვინც ნამდვილი პოეტი არ არის ის ამგვარ მდგომარეობას თავის დღეში ვერ განიცდის, მაგალითად პროვინციელი პოეტ-კორესპონდენტი.

ი—ლი.

(შემდეგი იქნება)

„მათრახის“ ფოსტა.

ბორჯომი. კ. არჯევანეშვილს. სამწუხაროა რომ გლეხის ქალი „მატრონია“ შეგირთავთ და მოტყუებულხართ. სწორეთ საგაზეთო ამბავია. ლექსს დაგიბეჭდავდით, მაგრამ აბა რას გიშველით. ეცადეთ როგორმე შეურიგდეთ ბედს. რადგან თქვენი ლექსის დასაწყისს დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს არ შეგვიძლია ორი ტაეპი მაინც არ მოვიყვანოთ.

„დღევანდელი ქალის მომყვანს
უნდა ქონდეს ათი თავი
რადგან მათი ტანსაცმელი
აღარ არის საკითხავი.

მოვსტყუვდი ქალი შევირთე
სოფლის გლეხის მატრონია
იმე! ჩემთვინ კარგი იყო
რადგან მეტი არ მყოლია.

საგულისხმიერო სიტყვებია, მაგრამ ჩვენ ვვგონია ათი თავი არ კმარა ვინც ცოლს ირთავს, საჭიროა ასი მაინც. მატრონიას ბრალი არ არის, რომ მოტყუებულხართ, მიიღეთ მაჰმადიანობა და აღარ მოტყუვდებით.

—

აქ. ი რ. ტ—ძ ე ს. იწერებით:

„ტვინის ღიტინს მომიხშირა
ლექსის წერის ჩემმა მუზამ“...

დაუყოვნებლივ ეჩვენეთ ექიმს.

„ლექსის წერა ღომის ჭამა
დღეს კი ჩემთვის სულ ერთია“...

ძალიან კარგს იზამთ რომ რაც შეიძლება მეტი ღომი ჭამოთ და ლექსები ნაკლებათ სწეროთ.

—

ჭიათურა. შ ა ნ ი ძ ე ს. თქვენ დალოცვილო ამოდენა თქვენი „ნაცოდვილევი“ რომ „მათრახში“ დავბეჭდოთ კვირაში ორი ნომრის გამოცემა მოგვინდება საკუთრათ თქვენთვის. ჯერ-ჯერობით ვინახავთ.

—

სიმტრიდა სელოს ძმას. თქვენი გამოცანა ტანმორჩილ ფერშლის შესახებ, რაღა გამოცანაა თუ კი ყველა გაიგებს? საკვირველი ადამიანი ყოფილხართ, რათ გიკვირს რომ მაგ თქვენ ფერშალს ფულები უყვარს. ამისთვის რა გამოცანა გინდოდათ.

—

ლანჩხუთი. კ. მ ა რ გ ა ლ ი ტ ა შ ვ ი ლ ს. თქვენი „ლექსი-კორესპონდენცია“ წავიკითხეთ, მაგრამ ვერაფერი გავიგეთ. მოკითხვის ბარათი თუ ოდესმე დაგიწერიათ იმ გვარათ მოიწერეთ და გაგვაგებინეთ რა გინდათ.

—

ლანჩხუთი. ე ქ ვ თ ი მ ე ო რ ა გ ვ ე ლ ი ძ ე ს. თქვენი პასუხი ლექსათ თხზული და მუქარის წერილი ორივე მივიღეთ. გვიკვირს „ქუდზე ხელი“ რათ წაივლეთ! დეპეშის გამომგზავნი ფსევდონიმათ აწერდა „ჟანგიანი ნეშტარი“. თქვენ კი ეს თავის თავზე მიგიღიათ თითქოს თქვენ, ბატონო ფერშალო, გქონდეთ „ჟანგიანი ნეშტარი“. არ ვიცით ჟანგიანი ნეშტარი გაქვთ თუ არა, ის კი ცხადია, რომ თქვენი კალამი პოეზიაში ჟანგიანი არის. თუ მაინცა და მაინც პირი გეწვის და საპასუხო გაქვთ რამე, რაღა უკმეხ ლექსათ სწერთ—თუ გაახერხებთ და დასწერთ ადამიანურათ გამოგზავნეთ და ვნახოთ...

განცხადებები.

(უხეირო ასოთ-ამწყობებმა სირცხვილი გვაჭამეს. დახეთ, როგორ აგვირეს განცხადებები?! სიტყვა-კაზმულ მწერლობის ისტორიამ ასეთი უმაგალითო ამბავი არ იცის. ასეთი თავხვლობა ჯერ არსად მომხდარა. როგორც გამოგიგვლიეთ ამ არევ-დარევის მიზეზი ის ეთოდა, რომ ასოთ-ამწყობები დღეისაკენ კბილუბულები ადმოჩნდენ განცხადებების წყობის დროს. რამდენათაც შეგვეძლო შეგასწორეთ, მაგრამ ეს წამხდარ საქმეს რას უშველის. ბოდიშს ვიხდით ჩვენ კლიენტებთან. გთხოვთ ისე წაიკითხოთ, როგორც ფრჩხილებში სწერია.)

ექვილი ივ. გომართელი
(ექიმი)

იკავს, თუმცა ძვირით „სალიტერატურო გასამარ- (იღებს ავადმყოფებს აკარაკ მორჯომში სეზონის დროს.)
თლების დროს“.

(40—1)

რკინის გრესილი ქაღალი
(ბიდის ექიმი)

ამტკრევს (აკეთებს) კბილებს ილითრვიდან ცხრამდე, (8—2 საათამდე) საღამოს ურიცხვს (7—3 ს.)

(100—4)

მოტორი მედიცინისა თიკანაძე.
(დოქტორი)

სწყალობს (წამლობს) მხოლოდ მანდილოსნებს, ფეხმძიმეთა და ხელმოკლეთ.

(50—3)

საბურსალო მის. გედეგანიძეილისა.
(საბურნალო)

ტენტერიზაცია (ელექტრიზაცია) მუჭის (კუჭის) ავათმყოფობისა.

არჩენს ქამრით (ქარით) ავადმყოფებს.

(25—1)

თევზის მღეჭველნი ძმ. ძეცვლოვები.
(ბრეწველნი)

პუშკინის ქუჩა, საკუთარი დახლი (სახლი).

(წ.—1)

ხურნუტა კაცი ჩვენი გემო.
(შუშუნა კვასი)

მათე ლონლილაძე (გორგიდაძე) და ამხ.

(00—1)

ვაგზლის კერძო საკურტანო
(სამკურნალო)

სწავლობენ (სწამლობენ) ვაშაკიძე, დიასამიძე, პაპავი, მიქელაძე და მელიქიშვილი. (წლ.)

სულეიმან ტარტაკიშვილი
(სოდამონ თაქთაქიშვილი)

მიდის (ჰეიდის) სასაფლაოზე (საბურთალოზე) მიწებს. მიაკითხეთ დილით 4—6-მდე (9—10-მდე).

(წლ.)

კეთილი ვაშაკინძე
(ექიმი ვაშაკიძე)

იღებს ავათმყოფ შიგნეულს (შინაგან ავათმყოფებს) ბანქოს თუ ჰამს (ბაქოს ქუჩა). (60—3)

ექვთიმე ბერის შვილი
(ექიმი ბერიშვილი)

სწავლობს (სწამლობს) საშარდეს ორგანოთა (ავათმყოფებს). (15—10)

ახალი სლუჭი (კლუბი).

ხვალ ფრიად სარფიანი ლოტო (ათე-ფასიანი ლოტო) სინემატგრაფინიას (სინემატოგრაფი) ევანიკაიას ორკეტს (ორკესტრს) ურტყამს (უკრავს) პრესმანი.

(წლ.—14)

სალაყბო სალხი
(სახალხო სახლი)

ვინ რას ემართლება (კეთრს კაამარუბა) გ. ჟორდანიაც კაცია (გ. ჟორდანიას ლექტია). ვინც გაეცნობა (დაესწრობა) იცინებს (ბძინებს) (5—1)

იყიდება

წარსული წლების იუმორ. ჟურნალების კომპლექტი:

1) „ეშმაკის მათრახი“ 1908 წ. სულ 34 ნომერი, ერთად შეკრული ღირს—2 მ., იგივე მშვენიერის კალენკორის ყდით ეღირება — — 3 მ. —

2) „მათრახ-სალამური“ 1909 წ. 34 №—2 მ. — იგივე მშვენიერის ყდით — — — —3 მ. —

3) „მათრახ-სალამ.“ 1910 წ. 34 № —2 — 50 იგივე მშვენიერის ყდით — — — —3 — 50

4) „ალმანახები“: 1909 წ. აკაკი, ეშმაკი, ჯოჯოხეთი, ტარტაროზი და სხვ. სულ 10 №—50 კ.

5) „სალამური“ 1911 წ. სულ 20 №—1 მ. —

6) „ფაუსტი“—1 მ., 7) „ოპერაცია“—30 კ.

ვინც გასასყიდათ დაიკვეთს თითოეულს არა ნაკლებ 5 ცალისა დაეთმობა 25%. მიმართეთ „შროშის“ სტამბაში თეოფილე ბოლქვაძეს, მუხნის ქ. 12.

ელექტრო-მბეჭდავი „შროშა“, მუხრანის ქ. 12. რედაქტორ-გამომცემელი თ. ბოლქვაძე.